ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 224 (19665) ◆ კვირა, 28 სექტემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

„ამბის“ უკვდავება

მსოფლიო ლიტერატურაში ცოტა თუ მოიძებნება ნაწარმოები, ისეთი ძალით რომ იზიდავდეს მკითხველს, როგორც „ამბავი იგორის ლაშქრობისა“. მართლაც რომ, ანდამატივით გიზიდავს იგი იდეის დიადი სიმართლით, ერთობის, მშვიდობისა და თანხმობის მოწოდებით, პოეზიის, მოქალაქეობისა და პატრიოტიზმის ორგანულ შენადნობად გვევლინება დღეს ძველი რუსული ლიტერატურის ეს სწორუპოვარი ქმნილება. რვა საუკუნის წინათ შექმნილი ნაწარმოების სიკეთის ჰუმანურ ნათელს ასხივებს და დღესაც ცოცხალი და თანამედროვეა.

რუსული კულტურის უკვდავი ძეგლის ღირსშესანიშნავ იუბილეს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც 26 სექტემბერს გაიმართა სსრ კავშირის დიდ თეატრში.

საზეიმო სხდომის მონაწილენი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **მ. ს. გორბაჩოვს, ბ. ა. ელციკინს, ა. ა. გრომიკოს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ი. კ. ლიგაჩოვს, ბ. ნ. ელცინს, მ. ვ. ზიმიანინს, ა. ნ. იაკოვლევს.** პრეზიდიუმში იყვნენ აგრეთვე საკავშირო საიუბილეო კომისიის წევრები, მეცნიერების და კულტურის მოღვაწენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საზღვარგარეთელი სტუმრები.

საზეიმო სხდომა გახსნა საკავშირო საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **პ. ნ. ფედოსეევმა.**

რუსული და მსოფლიო კულტურის დიადი ძეგლის „იგორის ლაშქრობის ამბის“ რვაასი წლისთავი უთვალსაჩინოესი მოვლენაა საბჭოთა ხალხისა და მთელი კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში, თქვა მან. ძველი რუსული ლიტერატურისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ეს უჭკნობი ქმნილება გახდა რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხების კულტურის საერთო სათავე, და დიდი გავლენა მოახდინა მათს სულიერ განვითარებაზე, მათი ძმური კავშირის გამბატკიცებასა და ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის შეკავშირებაზე.

„ამბის“ იუბილე მთელ მსოფლიოში აღინიშნება როგორც მეცნიერების, განათლებისა და ლიტერატურის დიდი დღესასწაული. [illegible] „იგორის ლაშქრობის ამბის“ 800 [illegible] უკვდავი პოემისა და მასში ჩაქსოვილი მშვიდობისა და ჰუმანიზმის იდეების წარუვალი მნიშვნელობა კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარებაში. „ამბავს“, რომელიც მსოფლიო კულტურის განუყოფელი ნაწილია, სპატიო ადგილი უკავია მსოფლიო ლიტერატურის ოქროს ფონდში შემავალ უთვალსაჩინოეს ნაწარმოებებს შორის.

ისტორიის გადამწყვეტი და მრისხანე მომენტების ჟამს ჩვენი თანამემამულენი ნიადაგ ეწაფებოდნენ „ამბავს“, მის მაღალ ჰუმანისტურ ჰაოსს, ვინაიდან იგი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში შთაგონებისა და მხარდაჭერის წყაროდ მიიჩნდათ.

პოემამ უდიდესი გავლენა მოახდინა რუსული და მსოფლიო კულტურის განვითარებაზე. მისი სასიკეთო ზემოქმედება განუცდია სამამულო და საზღვა-

(დასასრული მე-2 გვ.).

ᲡᲐᲛᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ

წელიწადის ყველა დროს აქვს რაღაც თავმოსაწონებელი, მაგრამ ამ მხრივ, თუნდაც თავისი დოვლათითა და ბარაქით, შემოდგომა უბადლოა. იგი განსაკუთრებით გამორჩეულია სოფლის, აგრომრეწვის მშრომელებისათვის, რომლებსაც მოძალებულ სამუშაოთა კომპლექსი ათას საზრუნავს უნენს. აგროსამრეწველო გაერთიანებები, მართალია, [illegible] სამშემოდგომო საშუშაოებს, გადაუდებელ ამოცანას წყვეტენ, წინასწარ აჯამებენ, რაც გააკეთეს, ანბილავებენ ყველაფერს, რაც მოიწიეს და მტკიცე საძირკველს უყრიან მომავალ მოსავალს.

საშემოდგომო მინდვრის სამუშაოთა მთელი კომპლექსისა და კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, აგრომრეწვის სხვა საწარმოთა ზამთრისათვის მზადების დროული, ხარისხიანი დამთავრება, აღინიშნა ამას წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე, უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანად არის მიჩნეული. მის წარმატებულ გადაწყვეტას განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს სურსათზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის.

წლევანდელი საჭირნახულო ლაშქრობის შედეგების ეს ოდენ დიდი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა კარგად ესმით ჩვენი რესპუბლიკის აგრომრეწვის მშრომელებს. ისინი, მიუხედავად ბუნების ჭირვეულობისა, მზად არიან მთელი ძალები, ცოდნა, გამოცდილება მოახმარონ დასახული ამოცანის შესრულებას. ამას ნათლად მოწმობს ბოგდანოვკელ, მცხეთელ, გარდაბნელ, ხაშურელ შემინდვრეთა საქმიანი განწყობა, რომლებმაც თითოეულ ჰექტარზე 36-33 ცენტნერი მარცვლეული გალუწეს. დასახული მიჯნის უფოდ მიღწევისათვის მზადყოფნას შემართებული შრომით გამოხატავენ აგრეთვე გურჯაანელი, გორელი და კასპელი საკვებმომპოვებლები. მათ შესაბამისად ზამთრისათვის შარშანდელზე 569, 6.425, 8:447, 3,131 ტონით მეტი უხვი საკვები მოიმარაგეს.

რით უნდა ავხსნათ ის, რომ ზემოხსენებული რაიონების მეურნეობებმა ყველასათვის თანაბარ პირობებში გაცილებით მეტი მოსავალი მოიწიეს? უწინარესად იმით, რომ მათ შრომითს კოლექტივებში იგრძნობა სიმხნევის, ოპტიმიზმის, ადამიანების საერთო ძალისხმევის ატმოსფერო, სადაც ყველა მოწოდებულია უნაკლოდ აკეთოს საჭირო საქმე. უნარიანად იყენებენ რეზერვებს, ზრუნავენ ძალებისა და საშუალებების სწორი განაწილებისათვის, ითითისეს კოლექტიური იჯარა, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული მეთოდები.

ამგვარი პასუხისმგებლობა, აგრეთვე დისციპლინა, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმი ალოობის კანონია და იგი აგრომრეწვის კომპლექსის ყველა რგოლის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. იქ, სადაც ამ კანონის დარღვევას ეგუებიან, ნარჯები, დანაკარგები დიდია, მოსავალი, შრომის ნაყოფიერება კი ნაკლები. ასე აქვთ საქმე, მაგალითად, ტყიბულის ზონის, ადიგენის, ახალციხის, წითელწყაროს რაიონების მეხოსტნეებს, რომლებმაც საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელთან შედარებით თითოეულ ჰექტარზე 4-5-ჯერ ნაკლები ბოსტნეული აწარმოვეს და, ცხადია, ამ პროდუქციის დამზადების გეგმის შესრულებაშიც მეტისმეტად ჩამორჩებიან.

გეგმების რეალიზაციისადმი ამგვარ გულარხეინ დამოკიდებულებას ავლენენ ახალციხის, ბოლნისის, ყვარლის, თელავის რაიონების მეურნეობები, სადაც კურკოვანი ხილი საგეგმოს შესამედიც არ არის დამზადებული, სეზონი კი თითქმის მიიწურა.

შემოდგომა, სექტემბერი უწევეულო გამოდგა მეზაიეებისათვის, რომლებმაც ჯერჯერობით თავი ვერ დააღწიეს ფოთლის კრეფაში შარშანდელთან შედარებით ჩამორჩენას. მოსავლის ასაღები კონვეიერის კიდევ მეტი გააქტიურება, აგრომრეწვის ყველა პარტიორის უფრო შეთანხმებული მოქმედება მართებთ მახარაძის, ზუგდიდის, ქობულეთის, ჩოხატაურის, გეგეჭკორის და სხვა რაიონებს, რომლებიც ჩვის ნედლეულის დამზადების გეგმის შესრულების საშუალო რესპუბლიკური მაჩვენებლის დონესაც კი ჩამორჩებიან.

რესპუბლიკის საკვების სავარგულებში ყველგან ერთნაირი სიმეჯჯითით როდი ითიბება ბალახი. ამის გამო, რომ ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის რაიონებს საკვების დამზადებაში დასახული მიჯნების მიღწევას ჯერ კიდევ ბევრი უკლიათ.

შემოდგომის ცვალებადი ამინდების კვალობაზე მინდვრადაც ძალიან სწრაფად იცვლება ვითარება, და ეს სპეციალისტებისგან, ხელმძღვანელებისგან მოფიქრებულ, ოპერატიულ გადაწყვეტილებებს მოითხოვს, რადგან დაყოვნებას დიდი დანაკარგები მოსდევს. ამიტომ იქ, სადაც ფურაგი ზამთრისათვის არ ყოფნით, მკაცრად, თადარიგიანი მეურნის გულმოდგინებით უნდა აწონ-დაწონონ, თუ რის მოსწრებას შეძლებენ დარჩენილ დროში, რის მოცემა შეუძლია თითოეულ ჰექტარ სათიბს დანაკლისის შესავსებად. დრო კიდევ არის იმისათვის, რომ კარგად მოვლილ მდელოზე დამატებით გაითიბოს ბალახი. ცოტა როდი დარჩენ გასათიბი სავარგულები გეგეჭკორის, ონის, ყაზბეგის, თერჯოლის, ხობის, ცხაკაიას რაიონების მეურნეობებს. ბევრგან მწვანე მასა ასაღებია სანაწვერალო მინდვრებშიც, ფურაჟის ყუათიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობა კი ყველგან არის. ეს არა მარტო გაზრდის პირუტყვის პროდუქტიულობას, არამედ მეცხოველეობას ძვირად ღირებულ კონცენტრატსაც დაუზოგავს.

ზამთრისთვის მომარაგებული საკვების უკუგება ძირითადად მისი ხარისხით განსაზღვრება. შარშანდელი პრაქტიკა მოწმობს, რომ ამ გარემოებას ბევრგან ანგარიშს არ უწევენ და ნორმაზე ნაკლები ყუათიანობის თივასა და სენაჟს იმარაგებენ, რის გამოც ფერმას დიდძალი პროდუქცია აკლდება. ეს საშიშროება წლევანდელ მოელით გორის რაიონის ხვითის საბჭოთა მეურნეობისა და მეჯვრისხევის კოლმეურნეობის ფერმის მუშაკებს, რომლებსაც გამოზამთრებისათვის შესაბამისად 500-600 ტონა უხარისხო სენაჟი აქვთ ჩადებული. ამგვარი უნიათო მეურნეობრიობის, მიწათმოქმედების დაბალი კულტურის დამადასტურებელი კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა სხვა რაიონებიდანაც. ამის მიზეზი კი ის არის, რომ მეურნეობებში არღვევენ ფურაგის დაგროვების ტექნოლოგიურ პროცესებს, დაინტერესებული არ არიან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების, კოლექტიური იჯარისა და სამეურნეო ანგარიშის დანერგვით. ეს, რა თქმა უნდა, ხდება იქ, სადაც ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ინერციის ძალას ვერ უმკლავდებიან, გარდაქმნის ქმედითს ღონისძიებებს არ ახორციელებენ.

სოფლად საშემოდგომო სამუშაოთა კომპლექსში განსაკუთრებულია მომავალი მოსავლისათვის საფუძვლის შექმნა. თადარიგიანი მეურნე ჭირნახულის დაბინავებისთანავე ნიადაგს თესვისათვის ამზადებს, სასუქებით აპოხიერებს, უხვმოსავლიან თესლს იმარაგებს. ეს თადარიგი მისაბაძია ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების მეურნეობებში, სადაც საშემოდგომო მინდვრისთვის მსოფლიო პირველი კლასის თესლი გამოყვეს და თესვაც შარშანდელი ტემპის გასწრებით მიმდინარეობს.

მოწეული ჭირნახულის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ დაბინავებისათვის მეცადინეობის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია მიწათმოქმედთა, მექანიზატორთა, ტრანსპორტელთა, მომსახურების სფეროს მუშაკთა ბეჯით და შეთანხმებულ მუშაობაზე. აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა მონაწილის თანადგომა თავის მნიშვნელობას არ კარგავს ალოობის არც ერთ ეტაპზე. ამას მოწმობს გაზეთის დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი რუბრიკით „კომუნისტის“ საუბარი“, რომელშიც ლაპარაკია ტრანსპორტის მოცდენაზე, ლილოს ხილბოსტნეულის კომბინატში ზამთრის მარაგისათვის ნალკიდან კარტოფილის არაორგანიზებულ შემოზიდვაზე, მომხმარებლისათვის უსტანდარტო პროდუქციის მიწოდებაზე.

მეურნეობებსა და დამამზადებლებს აწუხებთ აგრეთვე ხილისა და ბოსტნეულის ტრანსპორტირებისათვის სარეფრიჟერატორო სექციების დაყოვნება, ტარის ნაკლებობა, რის გამოც პროდუქციის ხარისხი ქვეითდება.

ამსანაგური თანადგომა და ურთიერთდახმარება, საჭირნახულო ლაშქრობის აქტიურ მონაწილეთა რიგების ზრდა შემოდგომის სამუშაოთა კომპლექსის რეგულირება და უზადო შესრულების საწინდარია, და ეს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზატორებმა ისევე დღენიადაგ თვალთასმდგის არეში უნდა იქონიონ, როგორც შროშითი მეტოქეობის საჯაჭოობა, მოწინავე გამოცდილების ოპერატიული განზოგადება და დანერგვა.

ავიღოთ და უკლებლივ დავაბინაოთ, რაც მიწამ მოგვცა, მოვიმარაგოთ საკმარისი ყუათიანი საკვები პირუტყვის გამოზამთრებისათვის, დროულად და უზადოდ გავართოთ თავი სხვა საშემოდგომო სამუშაოებს — აი ის ძირითადი გადაუდებელი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაში აგროკომპლექსის თითოეულმა შუშაკმა თავისი კონკრეტული წელილი უნდა შეიტანოს.

საქმეს გამოაჩინა

მცხეთის რაიონის მუხრანის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მემინდვრეებმა მარცვლეულის უხვი მოსავალი მოიწიეს. მათ საგეგმო 80 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 200 ტონა ხორბალი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა კომბაინერმა ნუგზარ რუსიშვილმა.

* * *

სურათზე: კომბაინერი ნ. რუსიშვილი.

ვ. გენგიშერის ფოტო.

28 სექტემბერი მანქანათმშენებლის დღეა

დაჩქარების განმსაზღვრელია მოდერნიზაცია

თბილისის „ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანება ოთხ საკმაოდ დიდ საწარმოს აერთიანებს. ესენია: თბილისის „ელექტროამმუშავებლის“, „ელექტროავტომატის“, კასპის „ელექტროაპარატისა“ და რუსთავის „ელექტროსამაგრების“ ქარხნები. ისინი ორგანულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, თითოეული მათგანის გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული გაერთიანების ავ-კარგი.

გაერთიანება სპეციალიზებულია დაბალი ძაბვის ელექტროაპარატურის გამოშვებაზე, რომელზეც დიდი მოთხოვნაა. აქაურ მშრომელთა ნაზლავი საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის მრავალ ორგანიზაციასა და ფირმას ეგზავნება.

დიახ, ძირითადი პროდუქცია ელექტროაპარატურაა, მაგრამ აქ სახალხო მოხმარების საქონელიც მზადდება. მისი წილი წარმოების საერთო მოცულობაში ჯერჯერობით 12-13 პროცენტს შეადგენს. მაგრამ მომავალში ეს ციფრი კიდევ უფრო გაიზრდება. აქაურ მშრომელთა ნახელავს — ჩამოთვალეთ გამომრთველებს, შტეფსელის როზეტებს, ელექტროლუმენებს, ელექტროდამგრძელებლებს, საახალწლო ნაძვისხეებს, საბავშვო სკამებს კარგად იცნობს ჩვენი მომხმარებელი და სურს, რომ მათი ხარისხი უთუოდ შეეესაბამებოდეს დროის მოთხოვნებს. ეს სურვილი გათვალისწინებულია, და დაწყებულია მათი მოდერნიზაცია. ასე რომ, მოკლე ხანში აქედან სავაჭრო ორგანიზაციები გაუმჯობესებული ხარისხის საქონელს მიიღებენ. ზემოთ ჩამოთვლილ საგნებს წლეულს მსუბუქი ავტომატების უკანა მინის გამთბობიც მიემატა. გამთბობის ათვისება დამთავრდა და გაერთიანება უკვე შეუდგა მის სერიულ გამოშვებას.

ახლა გაერთიანების ოთხივე საწარმოში მიმდინარეობს ტექნოლოგიური ციკლების სრულყოფა, ახალი ტექნიკის დანერგვა, ახალ სახეობათა ძირითადი პროდუქციის ათვისება. ამ მიმართულებით მეთაური ქარხნის უკონტაქტო აპარატურის განყოფილება და მისი საექსპერიმენტო უბანი მონდომებით მუშაობს.

1982 წელს ათვისებული ტირისტორული მართვის ელექტროამძრავი, რომელიც ძფგადასხვავე მანქანის სიჩქარის მარეგულირებლად გამოიყენება, ხასიათდება საკმაოდ მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით. ამ აპარატურის ყოველი ერთეულის საექსპლოატაციოდ მთლიანი გადაცემა 226 მანეთს ზოგავს. მაგრამ, დროის მოთხოვნათა შესაბამისად, მომავალი წლიდან ახალი გაუმჯობესებული ტიპის ელექტროამძრავის გამოშვებას დაიწყებენ. იგი უკვე აითვისა უკონტაქტო აპარატურის განყოფილებამ და მომავალი წლიდან სერიულად გამოუშვებს.

მუშაობა გაუმჯობესებული პროდუქციის გამოსაშვებად გაერთიანების ყველა საწარმოში გრძელდება. წარმოებიდან იხსნება მოძველებული ტიპის ელექტროავტომატები და ელექტროამმუშავებლები. ისნი დღეს პირველი ხარისხის ნიშნით გამოდის, და ამიტომაც, პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესაბამისად, დაწესდა მათი ფასდაკლებით გაყიდვა. სამაგიეროდ მიმდინარეობს ახალი ტიპის ავტომატური გამომრთველების ათვისება, რომლებიც სერიულად მომავალი წლიდან დამზადდება.

საერთოდ, მეთორმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია გაერთიანებაში შემავალი ყველა საწარმოს განახლება. ეს პროცესი უკვე დაიწყო ელექტროავტომატის ქარხანაში. მეთაურ საწარმოში კი რეკონსტრუქციას ექვემდებარება გალვანური, მექანიკური, სამღებრო და სხვა სამეროები. მიმდინარეობს საიარაღო და ფართო მოხმარების საგნების გამომშვები საამქროების განახლება.

დაწყებულია ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია, რომლის შედეგადაც საგრძნობ ეკონომიკურ ეფექტს ელიან. მეთაურ ქარხანაში წლის პირველ ნახევარში დაიდგა ხრახნის საჭრელ-გასაწმენდი ავტომატები, საბე განყოფილების ახალ შენობაში გადაყვანასთან და მის მექანიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოები წლის დამლეგისათვის დასრულდება. ქარხანაში მზადდება უნარჩენო ტეიფრები, ათვისებულია თერმოპლასტიკური მასალების უნარჩენო წარმოება, მუშავდება რეაქტიული ფენოპლასტის ნარჩენების გამოყენების ტექნოლოგია. აოსანიშნავია, რომ მეთაური ქარხანა ერთადერთი საწარმოა საბჭოთა კავშირში, სადაც ფენოპლასტის მეორეულ გადამუშავებას ახორციელებენ.

მიმდინარე წლის რვა თვე გაერთიანებამ კარგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით დაამთავრა. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 101 პროცენტით, ხოლო რეალიზაციისა — 100,9 პროცენტით შესრულდა. გაერთიანება 41-დან 18 დასახელების პროდუქციის სახელმწიფო ხარისხის ნიშნით უშვებს. საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნულმა პროდუქციის ხვედრითმა წილმა წარმოების მთლიან მოცულობაში 62,2 პროცენტი შეადგინა.

ზომის ნაყოფიერების დავალება 101,3 პროცენტით შესრულდა. ეს მაჩვენებელი 8,9 პროცენტით სჭარბობს შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად გაერთიანებამ მილიონ 147 ათასი მანეთი დაზოგა და მოგების გეგმა შეასრულა 103,3 პროცენტით. გეგმის გადამეტებით მოგებამ 392 ათასი მანეთი შეადგინა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე ზრუნვასთან ერთად წარმატებები, ცხადია, მშრომელთა სამაგალითო შრომამ განაპირობა.

ნ. ლურსმანაშვილი.

ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲛᲐᲚᲐᲒᲐᲡᲘᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲡ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ და დ. რაციერაკამ კრემლში ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საფუძველთა დეკლარაციას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მალაგასის რევოლუციის ავანგარდის პარტიას შორის პარტიული ურთიერთობის გეგმას ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. თ. დობრინინმა და მალაგასის რევოლუციის ავანგარდის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრმა ჟ. ი. სოლუფფუსონმა.

ხელმოწერილია აგრეთვე სსრ კავშირისა და მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის 1986-2000 წლების გრძელვადიანი პროგრამა.

(საკდესი)

ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

26 სექტემბერს მოსკოვიდან ტაშკენტს გაეშვა ზვარა მალაგასის რევოლუციის ავანგარდის პარტიის გენერალური მდივანი, მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი დიდი რაციერაკა მეუღლითურთ. მადაგასკარის ხელმძღვანელი ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად არის ჩამოსული სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

ვნუკოვოს აეროდრომზე დ. რაციერაკა და მისი მეუღლე თვითმფრინავთან მიაცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ მეუღლითურთ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. თ. დობრინინმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

აეროდრომზე აღმართული იყო მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმები, საფრენ მოედანზე გამწკრივდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ს

„ამბის“ უკვდავება

(დასასრული)

რგალეთული ლიტერატურის ბევრ უთვალსაჩინოეს ქმნილებას, ვინაიდან „ამბის“ პათოსი წარსულში კი არ რჩება, არამედ აწმყოსა და მყოფადისადმი არის მომართული. პოემის იდეური და მხატვრული ძალა შთაგონებდა ბევრ მწერალს, მეცნიერს, მხატვარსა და კომპოზიტორს შეექმნათ ლიტერატურისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი ნაწარმოებები.

იგორის ლაშქრობის ამბავი უდიდეს ყურადღებას იწვევს და ეს ყურადღება წლითიწლობით უფრო მლიერდება. მას გამოსცემენ და კითხულობენ პოლონეთსა და ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სხვა სოციალისტურ ქვეყნებში; მას სწავლობენ ინგლისსა და საფრანგეთში, ავსტრიასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში, იაპონიასა და ავსტრალიაში, შეიძლება ითქვას, ყველა ქვეყანაში შორეული აღმოსავლეთიდან უკიდურეს დასავლეთამდე. დიდია „ამბის“ შესწავლაში საბჭოთა მეცნიერების წვლილი, რომელიც ღრმად აშუქებს ნაწარმოების იდეურ შთანაფიქრს, მის პუბლიცისტურ გეზს, მისი მხატვრული სისტემის ხალხურ საფუძვლებს, შუა საუკუნეების რუსეთის მატერიალურ და სულიერ კულტურასთან, მსოფლიო ეპოსის ძეგლებთან მის კავშირს.

თვით ღირსშესანიშნავი თარიღის სამზადისმა ცხადყო სწორუპოვარი ძეგლის უდიდესი როლი საბჭოთა ადამიანების პატრიოტულსა და ინტერნაციონალურ აღზრდაში, გვიჩვენა ისტორიული წარსულის საუკეთესო ნიმუშებისადმი მზრუნველი და შემოქმედებითი დამოკიდებულების მაგალითი.

ორატორმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმას, რომ „ამბის“ პატრიოტული იდეები განუყოფელად ერწყმის ჰუმანისტურ ზრახვებს მშვიდობისა და მშვიდობიანი ცხოვრების შესახებ. „იარაღის ნათესი ბოროტების აღმოსაცენის“ პოეტური სახე ესატყვისება ჩვენს ეპოქასაც, როდესაც რეაქციის ძალები სიძულვილისა და სამხედრო ფსიქოზის თესლს თესენ და აჩქარებენ გამალებულ შეიარაღებას, ცდილობენ ხელი შეუშალონ მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის გაერთიანებას მოაწლოებული ბირთვული კატასტროფისაგან კაცობრიობის ხსნისათვის.

დღეს საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად იბრძვის ყოვლისმომცველი საერთაშორისო თანხმობის მისაღწევად ქვეყნად უშიშროებისა და მშვიდობიანი ცხოვრების დამკვიდრების მიზნით, ყველა ხალხთა თავისუფლებისა და პროგრესის ინტერესებისათვის. სწორედ ამიტომ არის, რომ საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ ინიციატივებს, რომელთაც მზარდი გაგებით და მოწონებით ხვდებიან მთელ მსოფლიოში.

მოხსენება „ამბავი იგორის ლაშქრობისა“ საუკუნეებსა და თანამედროვეობაში“ გააკეთა აკადემიკოსმა **ბ. ა. რიბაკოვმა**. იგი დაწვრილებით შეეხო პოემაში ასახულ ისტორიულ მოვლენებს და აღნიშნა, რომ მასში ყველაფერი გამსჭვალულია ცოცხალი თანამედროვეობით, რუსეთის ხვალინდელი სვე-ბედისათვის ზრუნვით. ავტორის პოლიტიკური და პატრიოტული ამოცანა ის იყო, რომ მოემზადებინა ფეოდალური დაქსაქსულობის ეპოქის რუსული მხარეები კონჩაკის თითქმის გარდაუვალი შემოსევის მოსაგერიებლად. მისი სიტყვა, მისი „ამბავი იგორის ლაშქრობისა“, რომელიც „დიდი და მრისხანე“ სვიატოსლავისა და მისი თანამმართველის რიურიკის მრწამსს ემთხვევა, ნამდვილად იყო, როგორც კ. მარქსმა თქვა „რუსი თავდების მოწოდება გაერთიანებულიყვნენ სწორედ საკუთრივ მონღოლთა ურდოების შემოსევის წინ“.

ამ პატარა შუასაუკუნოვან ნაწარმოებს, რომელიც ჩვენი ნაბეჭდი ტექსტის სულ 7-8 გვერდს შეადგენს, მიეძღვნა 5.000-ზე მეტი წიგნი და სტატია მსოფლიოს მრავალ ენაზე; შესრულებულია მისი ასობით თარგმანი.

მაინც, რა არის შორეულ შთამომავალთა ფიქრებსა და გრძნობებზე ესოდენ მძლავრი ზემოქმედების საიდუმლო?

ნაწილობრივ, ეს არის „ამბის“ მომაჯადოებელი პოეტურობა, სტილი და უაღრესად რიტმული წყობა, ზეფხამოკრილი ჩამოქნილი შედარებები, მრავლისმეტყველი ნართაოული, მკაცრი ლოგიკა და თავაზიანი, მაგრამ მტკიცე ალამართლობა. ავტორი მდიდარ ფოლკლორულ ზღაპრულ სამყაროს უახლოებს სინამდვილეს და თითქოს რენესანსის პოეტთა წინამორბედად გვეელინება.

იგი წარმოგვიდგება როგორც უფართოესი გეოგრაფიული და ისტორიული თვალსაწიერის მქონე ადამიანი. იგი თითქოს ოვალწინ უშლის მსმენელებს მათს თანამედროვე ევროპას, უჩვენებს მას დასავლეთის ვენეციიდან ვიდრე აღმოსავლეთის ვოლგამდე, ჩრდილოეთის დასავლეთი ყინულიდან ვიდრე სამხრეთ ყირიმის ქალაქებამდე. ავტორი ყოვნაოთა ხანების წინააღმდეგ ბრძოლას განიხილავს უფრო ფართოდ, ვიდრე მხოლოდ შემოსევებისაგან რუსეთის მიწაწყლის დაცვას. იგი ზედმიწევნით უხამებს მას სრულიად ევროპის საქმეთა რთულ სისტემას ფრიდრიხ ბარბაროსას მე-3 ჯვაროსნული ლაშქრობის წინ. საქმე ეხება ახლო აღმოსავლეთის მდიდარ ქვეყნებთან ევროპის მშვიდობიანი ეკონომიკური ურთიერთობის საერთაშორისო მაგისტრალურ გზებს, ოდინდელ რუსულ სავაჭრო გზას IX-X საუკუნეებიდან.

ვერც ერთი ძველი რუსი მწიგნობარი ვერ ამაღლდა, „ამბის“ ავტორივით, ისტორიული მოვლენების გაგების, მათი მეცნიერული გააზრების დონემდე.

„იგორის ლაშქრობის ამბავს“ საპატიო ადგილი უკავია არა მარტო რუსული პოეზიის ისტორიაში, არამედ აგრეთვე რუსული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაშიც.

შემდეგ მოხსენებაში აღძრულია სკითხი, რომელიც მკვლევართა მრავალ თაობას აფიქრებდა და აფიქრებს: მაინც, ვინ იყო ეს „უსახელო გენიოსი, მისთვის ესოდენ საყვარელი შევარდენივით რომ შეკრა კამარა რუსეთის, ევროპისა და ყივჩაღთა ველის თავზე? ბრძენკაცი, რომელიც საუკუნეთა სიღრმეს ჩასწვდა დროის ისეთივე მონაკვეთით, რამდენითაც ერის დაშორებული მისი პოემა ჩვენი დღეებიდან, ორატორი და პოეტი, წარმატებით რომ გაუძღვა რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივ აზროვნებას?

ისტორიული გათვითცნობიერება და აზროვნების ისტორიულობა შესაძლებლობას გვაძლევს შევადაროთ იგი ერთ კიეველ ბოიარინ — დიპლომატს პეტრე ბოსლავის ძეს, რომელსაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში უკავშირებდნენ 1152 წლის მატიანის ნაწილს, მაგრამ ჰიპოთეზა ჰიპოთეზად რჩება! გენიალური იუბილარი — ავტორი დღესაც უსახელოა.

ორი საუკუნეა მეცნიერები ეძებენ „ეროვნულ“ ბოიარს, ეს ეს ეძებენ ... ერთი საიდუმლოს გასხა ახალ იდუმალებაში, და ეს ... ...

„ოქტომბრის“ საკავშირო საკითხავი

სიყვარულო, ძალსა შენსა!

ბერტა

ბერტა შტაინ! ეს გერმანელი ქალაშვილი იენის უნივერსიტეტიდან სამეცნიერო კვალიფიკაციის ასამაღლებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოავლინეს. მას სადისერტაციო თემად აღებული ჰქონდა კონსტანტინე გამსახურდიას ადრეული შემოქმედება. მწერალის მიერ ბერლინის უნივერსიტეტში განსწავლის პეროდში გერმანულად გამოქვეყნებული ნაწარმოებები ბერტას დიდის რუდუნებით მოეძია და შეესწავლა. ახლა განზრახული ჰქონდა კონსტანტინე გამსახურდიას ქართულად გამოქვეყნებულ ადრეულ ნაწარმოებთა შესწავლა, და ასე, გერმანელ და ქართულ პირველწყაროთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე სადისერტაციო შრომის დაწერა. ამ მიზნით იგი ჩვენს კათედრას — ქართულ საბჭოთა ლიტერატურის კათედრას მიამაგრეს. ჩვენმა კათედრამ გულთბილად მიიღო სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი უცხოელი და პატივისცემა დაუდასტურა ქართული ლიტერატურით დაინტერესებულ ქალაშვილს. მას ხელძღვანელი გამოუყო და მთელი გრძელი სამი წელი ჩვენთან გაატარა. პირველი ჩვენი დიალოგიც მაშინ შედგა.

— დედასა და ბებიასთან ერთად ბერლინში ვცხოვრობდით. დედა საავადმყოფოში მუშაობდა ექთნად, მე ბებიასთან ვტოვებდა სრულიად ჩვილს. თუმცა სულ ერთი ოთახი იყო ჩვენი ბინა, მაგრამ ისეთი სუფთა და კრიალა, შიგ თითქოს მზე იდგაო... დედა 25 წლისა იყო, რომ დაქვრივდა. ეს ის დრო იყო, ჰიტლერმა რომ ქვეყნების დაპყრობას მიჰყო ხელი. 1940 წელს პირველად ინგლისელებმა დაბომბეს ჩვენი ქალაქი. ჩვენი სახლიც დაზიანდა. მე და ბებია ძლივს გადავრჩით, მერე ის იყო, ომი დაიწყო თქვენების წინააღმდეგ. დედა მორიულ საგანგო ჰოსპიტალში გაიწვიეს, მალე ბებიაც გარდაიცვალა. მე 6 წლისა მამიდაჩემთან ვთვევდი ღამეს... 1945 წელს, 11 წლისა რომ შევსრულდი, მამიდასთან ქარხანაში დავიწყე მუშაობა. სწორედ იმ წელს, მარტის თვეში, ის სახლი, სადაც მამიდაჩემი ცხოვრობდა, ბომბმა ნანგრევებად აქცია. სიკვდილს გადარჩენილს, ვიღაც წითელარმიელმა მიშველა და სამშვიდობოს გამიყვანა. იქ ბავშვებს პური დაგვირიგეს, უპატრონოთა სახლში მოგვთავსეს... ის კეთილი ჯარისკაცი ქართველი აღმოჩნდა. გამიღიმა, გამეხუთრა, მისამართი მომცა, თუ როდისმე ჩვენს მხარეში მოხვდე, მინახულეო. მე იმ უსაშველო ომში დედაც დავკარგე და მამიდაც. მერე, როცა დემოკრატიული გერმანია გამოცხადდა, მე იენაში ომში დაღუპულთა შვილების თავშესაფარში მომათავსეს, სადაც სასწავლებელი რომ დავასრულე, უნივერსიტეტში უგამოცდოდ ჩამრიცხეს, სტიპენდია დამინიშნეს და საერთო საცხოვრებელში ბინა მომცეს. უნივერსიტეტი წარჩინებით დავამთავრე და ახლა ასპირანტი ვარ...

— აქ შეჩერდა, დაკვირვებით მომიჩერდა, შემამოწმა, მისმენს თუ არაო. მე ამით ვისარგებლე და ვკითხე:

— მაინც, როდის დაგებადათ სურვილი, ქართული მწერლობა რომ შეგესწავლათ? —

სახეზე ღიმილი გადაეფინა, ცისფერი თვალები დაახამხამა და დინჯად დაიწყო:

— იცით რა, მე ბავშვობიდანვე ბევრს ვკითხულობდი, მარტოდ შთენილმა წიგნები გავიხადე ჩემს განუყრელ მეგობრად. დღეებს ბიბლიოთეკებში ვალამებდი. განსაკუთრებით მაინტერესებდა კავკასია: გაფრინილი მქონდა: სტალინი, რომელშაც ჰიტლერი დაამარცხა, კავკასიელიაო. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ იგი ქართველი იყო. ეს მერე გავიგე, როცა ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში წავაწყდი კონსტანტინე გამსახურდიას ეთნოგრაფიულ ნარკვევს საქართველოს შესახებ. მე ერთბაშად გამიტაცა საქართველოს ისტორიამ — ჩემი გადამრჩენელი, იმ კეთილი ჯარისკაცის ქვეყანამ. გადავწყვიტე მომეძია საქართველოს შესახებ მასალები ენციკლოპედიებსა და ჟურნალ-გაზეთებში. ერთ ჟურნალში ისევ გამსახურდიას ნოველას „ფოტოგრაფს“ წავაწყდი — სულმოუთქმელად წავიკითხე. მე რუსულ ენას ვსწავლობდი უნივერსიტეტში და კარგადაც ვიცოდი. ახლა რუსულ გამოცემებში დავიწყე ძებნა კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებებს. რუსულად რაც ვიპოვე, ძალიან მოგეწონა, ჩემს მეცნიერ ხელმძღვანელსაც წავაკითხე და ვთხოვე ჩემთვის საკვალიფიკაციო თემად კონსტანტინე გამსახურდია დაემტკიცებინათ. ამასობაში გავიგე, რომ იენის უნივერსიტეტს ხელშეკრულება დაედო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ასპირანტების სამეცნიერო მივლინებით გაცვლის თაობაზე. მეც დაუყოვნებლივ მივმართე იენის უნივერსიტეტის რექტორს, მისი კეთილი ნებით გამოვეყავი კონსტანტინე გამსახურდიას კვალს და ასე აღმოვჩნდი თქვენთან...

ესა თქვა და რუსულად დაწერილი იმ ქართველი ჯარისკაცის სახელი, გვარი, მამის სახელი და მისამართი დამიდო მაგიდაზე და მთხოვა დავხმარებოდით მის მოძებნაში...

სულ ადვილად მივაგენით იმ კეთილი ქართველი ჯარისკაცის კვალს. იგი აღმოჩნდა ჭიათურელი გიორგი ბუხრიკიძე. ბუხრიკიძე ცოლ-შვილიანი იყო, ჯარში რომ გაიწვიეს — ორი ბიჭის მამა. კავკასიიდან ბერლინამდე ავტომატით სდია მტერს, და აი, სწორედ, ფაშისტური ბერლინი რომ დაეცა, მაშინ შეხვდა ბერტას..

გიორგი ბუხრიკიძემ დიდი სიყვარულით მიიწვია ჭიათურაში მის მიერ სიკვდილს გადარჩენილი ეს ჩვენი ასპირანტი...

სამი წელი სწავლობდა და ეცნობოდა იგი არა მარტო გამსახურდიას შემოქმედებას, არამედ დღედაღამ ეუფლებოდა ქართულ ენას, ამავე მიზნით მოგზაურობდა ქართულ სოფლებსა და დაბა-ქალაქებში. ზაფხულის არდადეგებს ბუხრიკიძეების ოჯახში ატარებდა. ბუხრიკიძეების უფროსი ვაჟი გივი ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მუშაობდა ინჟინერ-შექნილოსად. სწორედ იმ ზაფხულს, შვებულებაში მყოფი, ბერტასთან ერთად მოგზაურობდა, საქართველოს ღირსშესანიშნავ ადგილებს აცნობდა სტუმარს. ადამიანებს არაფერი ისე არ აახლოებს, როგორც მოგზაურობა. ასე დაუახლოვდა და შეუყვარდა ეს შავგუზა ბიჭი ქერა ბერტას...

...იმ დღეს სოფლის შარაგზა გადალახეს და ხევს მიადგნენ: ვაჟმა ხელი გაუწოდა, შეხედა და უკუდგა, თითქოს ელდა ეცაო, ქერათმიანმა გოგონამ ღიმილი შემოაფრქვია. ვაჟს ტრფობის ალი მოედო. შეეცადა სტუმრისთვის საამო რამ ეთქვა, მაგრამ ენა ვერ მოაბრუნა, სიტყვა ვერ დაძრა. ქალი, ვითა სტუმარი, დგას და ელოდება ვაჟისგან ხმის გაღებას. ვაჟი ისევ დუმს. ბოლოს ძლივს წარმოთქვა: წავდეთო. შეჰყვნენ ხეივანს, ნისლით დაბურულს. მთიდან ნიავმა დაქროლა და თვალწინ აიკრიფა მდინარის პირას დაწოლილი შავი ნისლი. ბუნებისაგან გაბრუებული სტუმარ-მასპინძელი დუმილით მიაბიჯებდნენ. მოულოდნელად ქალმა თქვა: — მე რომ შენთვის სიყვარული გამომეცხადებინა, შემიყვარებდი? ვაჟი — არა. ქალი — იმიტომ რომ გერმანელი ვარ? ვაჟი — არა, გერმანელობა აქ არაფერ შუაშია. ქალი — მაშ რატომ? ვაჟი — იმიტომ, რომ თქვენ ჩვენ სტუმარი ხართ. თუმც შენი სიყვარული გულს შემომნთებია, ვერ ვუღალატებ სოფლის ადათწესს, ვერ გადავუდგები ტრადიციულ სტუმარმასპინძლობას...

გერმანიაში რომ დაბრუნდა, ბერტამ ჩვენთან შესრულებული საკვალიფიკაციო შრომა იენის სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა და წარმატებით დაიცვა. მუშაობა დაიწყო, მაგრამ საქმეს გული ვერ დაუდო ამ უაღრესად შრომისმოყვარე და საოცარი შინაგანი დისციპლინით აღზრდილმა ქალაშვილმა. გული ჭიათურისკენ უწევდა, და... ბაზარივით გაბმულ მიმოწერას შეუყვარებულთა დაქორწინება მოჰყვა.

ასე დაიწო სტუმარმასპინძლობით და... ცოლქმრობით დასრულდა.

ის არდადეგებიც ჭიათურაში გაატარეს, მერე აიყოლია გივი და სამუშაოდ იენაში დაბრუნდნენ, მუდმივი ბინა კი ბერლინში ჰქონდათ. ზაფხულობით საქართველოში ჩამოდიან. ყოველ ჩამოსვლისას ბერტა ჩვენს კათედრას ესტუმრება ხოლმე. ასე იყო წელსაც. დიდხანს გვესაუბრა, ბევრი რამ გვიამბო:

— ამ ბოლო წლებში ძალზე ბევრს ვთარგმნი. პირველად ჩემს საყვარელ მწერალს კონსტანტინე გამსახურდიას შევეხე. ვთარგმნე მისი ოთხი ნოველა „შეხვედრა მკვდართან“, „ტაბუ“, „ქოსა გახუ“ და „ქალის რძე“. მოიწონეს, დამიბეჭდეს. — ესა თქვა და გადმომცა კონსტანტინე გამსახურდიას გერმანულად გამოცემული ნოველების კრებული, — ამის შემდეგ გავთამამდი და ვთარგმნე „ზოგაის მინდია“. ასე მგონია, კონსტანტინე გამსახურდია წმინდა წყლის ევროპული ტიპის მწერალია, ევროპული აზროვნების გლობალური მასშტაბითაც და წერის მანერითაც. თუმცა თემატიკა უაღრესად ქართულია ქართულ წარმართულ, მითოსურ ძირებთან ზიარებული. მითოლოგიურ წიაღში შობილი ხალხური სიბრძნის გვირგვინია „ზოგაის მინდია“.

კონსტანტინე გამსახურდიას ღვთაებრივი ნიჭის წყალობით „ზოგაის მინდიასგან“ შთაგონებული, მეც ბატონი კონსტანტინეს კვალს გავყევი და ვაჟას მივადექი. პირდაპირ დედნიდან ვთარგმნე ვაჟას რამდენიმე მოთხრობა.

— როგორ, ასე კარგად ისწავლეთ ქართული? (მე ვიცოდი, რომ ის ქართველ მწერლებს რუსულის მეშვეობით თარგმნიდა — რუსული ზედმიწევნით კარგად იცოდა).

უცბად მომიპრა:

— კი, ჩემი ჭიათურისა და მეუღლის წყალობით კარგად ვიცი ქართული — ენებს შორის მშვენიერი ენა, ან როგორც კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებს — ღმერთების ენა. ჩვენს ოჯახში საქართველოდან ვიღებთ ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებს, გაზეთ „კომუნისტს“, საკმაოდ ვართ ინფორმირებული იმით, რაც თქვენთან ხდება...

ბერტა

ᲖᲕᲘᲚᲘᲣᲖᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ.
დ. ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲐᲡᲘᲡᲢᲔᲜᲢᲘ

ᲒᲣᲚᲘᲡ სამ ბიოსიგნალს ერთდროულად განსაზღვრავს და შიფრავს ფიპლეიზე ინფორმაციის დამუშავების ავტომატური სისტემა, რომელიც შექმნეს ქართველმა სპეციალისტებმა. სამამულო წარმოების მიკროპროცესორი და მიკროელექტრონულ-გამოთვლითი მანქანები საშუალებას აძლევენ ექიმს ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია ავადმყოფის გულის კუნთის მუშაობის შესახებ, უფრო სწრაფად დასვას დიაგნოზი და დანიშნოს მკურნალობა.

— ახალი სისტემა ავტომატური რეჟიმის რთული კომპლექსის ნაწილია, რომელიც იღებს და ამუშავებს სამედიცინო-ბიოლოგიურ ინფორმაციას, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორმა სამეცნიერო მუშაობის დარგში, პროფესორმა გივი დუმბაძემ, — მას საფუძვლად უდევს მიკროელექტრონულ-გამოთვლითი მანქანა, ბიოსიგნალების რვაარხიანი მაძღიერებლები და სხვა თანამედროვე აპარატურა. მას შეუძლია ერთდროულად გააანალიზოს ბევრი პარამეტრი. ბლოკური კონსტრუქცია კომპლექსის შემადგენელი ნაწილების ცალ-ცალკე გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. კომპლექსი ერთად შექმნეს ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტისა და კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ელექტროგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამედიცინო კიბერნეტიკის განყოფილების სპეციალისტებმა.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

XXI ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲘᲑᲭᲔᲡᲗᲐᲜ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲑᲝᲢᲘ

ᲑᲣᲜᲯᲘ? ᲐᲠᲐ, ᲓᲠᲣᲯᲑᲐ!

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

XXVII საკავშირო კონფერენციაზე ამხანაგმა მ. ს. გორბачოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ტექნიკური რეკონსტრუქციის ტემპზე უდიდეს გავლენას მოახდენს ფართო ელექტრონიზაცია და საწარმოების კომპლექსური ავტომატიზაცია“.

სახალხო მეურნეობის დარგების ფართო მასშტაბური კომპლექსური ავტომატიზაციისათვის, მოქნილი ავტომატიზებული საწარმოების, როტორულ-კონვეიერული ხაზებისა და სამრეწველო რობოტების შესაქმნელად და დასანერგად კი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ისეთი რობოტების შექმნა, რომლებსაც ექნებათ „ხელდველობა“, შეიცნობენ ადამიანის ხმას, შეასრულებენ ბრძანებებს და ადვილად შეეგუებიან მუშაობის ცვლად პირობებს.

მაინც, რანი არიან რობოტები, რომელთა მეშვეობით ასე იცვლება საწარმოების სახე, იქმნება ავტომატიზებული ხაზები და მთელი ქარხნებიც კი, რომლებსაც საფუძვლად ეკრეფ წოდებული მოქნილი საწარმოო სისტემები უძევთ? როგორია მათი განვითარების პერსპექტივები? როგორ შეიძლება მათი გამოყენება სახალხო მეურნეობაში? როგორი იქნება ადამიანისა და რობოტის ურთიერთობა?

ამ და სხვა საინტერესო კითხვებზე სასაუბროდ ჩვენი გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის განყოფილების გამგე ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲮᲝᲨᲢᲐᲠᲘᲐ შეხვდა სსრ კავშირის და უკრაინის სსრ სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, კიევის ავტომატიკის ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ᲑᲝᲠᲘᲡ ᲢᲘᲛᲝᲤᲔᲔᲕᲡ. ვაქვეყნებთ მათ საუბარს.

— ბატონო ბორის! ამჟამად უკვე არავითარ ეჭვს აღარ იწვევს ის, რომ მალე რობოტები მტკიცე ადგილს დაიმკვიდრებენ ჩვენს ცხოვრებაში. გთხოვთ, გვიამბოთრა მდგომარეობაა დღეს? როგორი სახის რობოტებია უფრო გავრცელებული ჩვენში და საზღვარგარეთ?

— ამჟამად როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ ყველაზე მეტად გავრცელდა მართვის ციკლური დაპროგრამების სისტემიანი უმარტივესი რობოტები, რომელსაც მხოლოდ კარგად ორგანიზებულ გარემოში შეუძლიათ მუშაობა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ ისეთ პირობებში, როდესაც იმ საგნების კოორდინატები, რომლებთაც ისინი მანიპულირებენ, ცალსახად არის განსაზღვრული. გარდა ამისა, ასეთ რობოტებს დამხმარე მოწყობილობაც ესაჭიროება, რომლებიც მათ, მაგალითად, სამანიპულაციო საგნებს მიაწვდიან.

— შეიძლება ითქვას, რომ რობოტები თავის განვითარებაში იმეორებენ ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების გზას. კერძოდ, ისინი გვაგონებენ თავისი მუშაობით ამ 30 წლის წინანდელ, პირველი თაობის კომპიუტერებს, რომლებსაც უზარმაზარი ზომები და მცირე ტექნიკური შესაძლებლობები ჰქონდათ.

— დიახ, გარკვეული პარალელი არსებობს, მაგრამ განვითარების ტემპით რობოტები მაინც ჩამორჩებიან. დღევანდელი რობოტები საკმაოდ ძვირია, მოქნილობა კი მცირე, სამანიპულაციო საგნის ტიპის შეცვლასას, როგორც წესი, გვიხდება რობოტების საგრძნობი გადაკეთება ან მთლიანად შეცვლაც კი. ეს მოგეხსენებათ, დამატებითს მატერიალურ, დროს და შრომითს რესურსებს მოითხოვს. ამიტომ, მათი რენტაბელობის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილია ამ უმარტივესი, ანუ, როგორც მათ კიდევ უწოდებენ, პირველი თაობის რობოტების ისეთ სამუშაოებზე გამოყენება, სადაც საქმე ძალიან დიდ, ერთგვაროვან ოპერაციებთან, მაგალითად, ახი ათასი, მილიონი დეტალის გადაადგილებასთან გვაქვს. ამრიგად, ერთ გარკვეულ ოპერაციაზე ან ოპერაციათა ერთობლიობაზე მიმართული რობოტები, რომელებსაც ადამიანზე მეტი ამტანობა, საიმედობა, სიზუსტე და სწრაფმოქმედება აქვთ, მუშაობენ, ადამიანისთვის ძნელად მისაგებად ან საერთოდ მიუღებელ გარემოში, უკვე დიდ ეფექტს იძლევიან.

ძირითად ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მათ არ ძალუძთ სიტუაციის შეფასება, გადაწყვეტილების მიღება.

— მახსენდება ასეთი მაგალითი, 60-იან წლებში ულიანოვსკში ამუშავდა ქარხანა-ავტომატი, რომელიც სატვირთო ავტომანქანების ძრავის დგუშებს უშვებდა. ეს დგუშები უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა ავტოსასწყობ საწარმოში და ამ პროცესს სულ ხუთი ოპერატორი ემსახურებოდა.

მაშინ გვეჩვენებოდა, რომ გადაწყდა მუდმივი პრობლემა, შეიქმნა ავტომატური ან, როგორც ხანდახან ამბობენ, „უხალხო საწარმო“ და უეცრად, 80-იან წლებში... ქარხანა დაშალეს! რა მოხდა? დიდი არაფერი, შეიცვალა ძრავა. საჭირო გახდა ახალი სახის დგუშების გამოშვება, და აღმოჩნდა, რომ ამ ქარხანას ახალი ნაწარმის გამოშვება არ ძალუძს. როგორც ეკონომიკურმა გაანგარიშებებმა გვიჩვენა, ახალი ტიპის დგუშების გამოსაშვებად მისი გადაკეთება უფრო ძვირი დაჯდებოდა, ვიდრე ახალი ქარხნის მოქნილობა — აი რა აკლდა ქ. ულიანოვსკის ქარხანა-ავტომატს. იგივე ნაკლი ახასიათებს პირველი თაობის რობოტებსაც. როდესაც ლაპარაკია კომპიუტერებზე, ჩვენ სიამაყით აღვნიშნავთ, რომ მათ თავიანთი განვითარების მოკლე პერიოდში უკვე მეხუთე თაობას მიაღწიეს, უსაზღვროდ გაიზარდა მათი გამოყენების სფერო და შესაძლებლობები.

— დღეს შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ უკვე ხელთა გვაქვს რობოტების მეორე თაობა, ანუ ადაპტური რობოტები. მართალია მათი პროცენტი მსოფლიოში ჯერ კიდევ ძალიან მცირეა, მაგრამ, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, 1998 წლისათვის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მეორე თაობის რობოტები რაოდენობით გადააჭარბებენ პირველი თაობის რობოტებს. სწორედ ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის განვითარებამ, საერთოდ ელექტროტექნიკის განვითარებამ — მიკროპროცესორების, მიკროკომპიუტერების ფუნქციონალური შესაძლებლობების მკვეთრმა ზრდამ, მათი ღირებულების ასეთივე მკვეთრმა შემცირებამ, საფუძველი დაუდო ახალი თაობის რობოტების დანერგვაზე გადასვლას.

შეიძლება უამრავი მაგალითის მოყვანა, როდესაც გაგრძნობიერების საშუალებებით აღჭურვილი ადაპტური რობოტების გამოყენებამ 3-4-ჯერ შეამცირა რობოტტექნიკური კომპლექსების დამუშავებისა და ექსპლოატაციის, ავრეთვე გადაწყობის ვადები და ღირებულება. განსაკუთრებით ეფექტიანი გამოდგა ტექნიკური ხედვის საშუალებებით აღჭურვილი რობოტების გამოყენება.

აი ასეთი, მეორე თაობის რობოტები უკვე წარმატებით მუშაობენ ავტომობილების, ტრაქტორებისა და საათის ქარხნებში, საფეიერო და კვების მრეწველობაში. გარდა ამისა, შეგვიძლია განვიხილოთ კოსმოსური აპარატები, ჩვენი მთვარემავლები და კოსმოსური „ვეოლოგები“, რომლებმაც წარმატებით ჩაბარეს გამოცდა მთვარეზე, მარსსა და ვენერაზე, ისინიც ხომ ფაქტობრივად რობოტები არიან!

— ბატონო ბორის! ადამიანის ფანტაზია დაუშრეტელია. დღეს ჩვენ უკვე ხმამაღლა ვლაპარაკობთ რობოტ-მძღოლზე, რობოტ-დიაგნოსტიკოსზე, რობოტ-მბეჭდავზე, რომელიც ხმოვან ტექსტს დაბეჭდავს, რობოტ-თარჯიმანზე და სხვა. აი, ასეთ რობოტ-თანაშემწეზე დიდი ხანია ოცნებობს ადამიანი, მოესწრება თუ არა ჩვენი თაობა რობოტების მესამე და შესაძლოა შემდგომ თაობებს, რომლებსაც გარკვეული „ინტელექტიც“ ექნებათ, ჩაატარებენ რთულ არჩევით ოპერაციებს, მიიღებენ გადაწყვეტილებას, ესე იგი იარსებებენ ავტონომიურად, ოპერატორის ჩაურევლად?

— დიახ, ადამიანის ფანტაზიას საზღვარი არა აქვს და ჩვენც ვცდილობთ ფანტაზია რეალობად ვაქციოთ, მაგრამ, მოდით, ჯერ უფრო რეალურ პრობლემებზე ვისაუბროთ. ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივი — ინტელექტის სრული გამარჯვების მომხრეა. ამჟამად ჩვენ ვმუშაობთ პრობლემაზე, რომელსაც პირობითად „ინტელექტი — ტექნოლოგია — რობოტი“ (იტრ) ვუწოდეთ. მე არ ვაპირებ დაწვრილებით ვილაპარაკო ყველა დეტალზე და არც პრეტენზია ვაცხადებ ჩემი დასკვნების უცილობლობაზე. სადისკუსიოდ ვიტყვი მხოლოდ, რომ, ჩვენი აზრით, სამეცნიერო და საინჟინრო შრომის კომპიუტერული ინდუსტრიალიზაცია საშუალებას მოგვცემს უახლოეს მომავალში შევქმნათ ტექნოლოგიები, როდესაც ისეთი უმარტივესი ოპერაციების აუცილებლობა, როგორიცაა „აიღე-დადე“ აღარ იქნება საჭირო. უფრო მეტიც, მიმაჩნია, რომ ეს არის რობოტების ევოლუციის უპერსპექტივო მიმართულება, რაც გამოწვეულია არა მათი ტექნიკური არასრულყოფილებით, არამედ ტექნოლოგიის ცვლილების შედეგად. „აიღე-დადე“ ოპერაციის ნაცვლად გამოყენებული იქნება ოპერაცია „ამოარჩიე-დააყენე“.

ალბათ, სწორი არ იქნება, თუ შემოვიფარგლებით მხოლოდ რობოტების ინტელექტუალიზაციაზე მუშაობით. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამძრავების, კონსტრუქციული მასალების, მართვის სისტემებისა და სხვა კომპონენტების სრულყოფა.

— და მაინც, ბატონო ბორის, ადამიანის ფანტაზიიდან რა იქცა დღეს რეალობად. უფრო კონკრეტულად: ხომ არ დაგვისახელებდით ახალი თაობის რობოტების გამოყენების სფეროებს?

— მე აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ რობოტების დანერგვამ გაზარდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესება ნაკეთობათა ხარისხი, დამატებითი დანახარჯების გარეშე გაადვილოვა პროდუქციის ნომენკლატურა, გაათავისუფლა ადამიანი მონოტონური შრომისაგან, შეცვალა იგი ადამიანისათვის მავნე და საშიშ გარემოში. მაგალითად, ბირთვული და ქიმიური რეაქტორების მომსახურებისას, შახტებში, კოსმოსში, ოკეანეში, ძალზე მაღალ და დაბალტემპერატურიან გარემოში და სხვა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ისეთ კრიტიკულ სიტუაციაში, რომელიც ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიის შედეგად შეიქმნა, რობოტები მართლაც დიდ საქმეს აკეთებენ.

გარდა ამისა, მალე დაგვჭირდება მრავალი რობოტი, რომელიც პოტენციურად საშიშ გარემოში პოტენციურად საშიშ ნივთიერებებს გამოიკვლევენ. შესაძლოა ზოგიერთი ექსპერიმენტის ჩატარება მზის სისტემის გარეთაც კი დაგვჭირდეს.

— როგორც ცნობილია, ადამიანისა და რობოტების ურთიერთობის საკითხებს შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და, თუ გნებავთ, მნიშვნელოვანიც, ადამიანის რობოტებთან შეგუებაა. მით უმეტეს, როდესაც ლაპარაკი სრულყოფილი პროთეზების შექმნას ეხება, პროთეზებისა, რომლებმაც უნდა შეცვალონ დაშავებული კიდურები, გრძნობის ორგანოები ან თვით ადამიანის ინტელექტიც კი. როგორც ცნობილია, დღეღდღეობით ზოგიერთ ქვეყნებში მეცნიერებმა დაამუშავეს და უკვე პრაქტიკულად შექმნეს ხელოვნური ხელი და ფეხი, რომლებსაც ადამიანის ტვინიდან გამომავალი ბიოტოკები მართავენ. ალბათ, პერსპექტიულად უნდა მივიჩნიოთ საყოფაცხოვრებო რობოტების განვითარების მიმართულებაც. რამდენად რეალურია ისეთი „საოჯახო“ რობოტების შექმნა, რომლებიც ადამიანს გაუადვილებენ ცხოვრებას, როგორც ამას, მართალია, ჯერ არცთუ ისე ფართოდ, „საოჯახო“ კომპიუტერები აკეთებენ?

— „საოჯახო“ რობოტების შექმნის პერსპექტივა, ანუ ისეთი სერვისული რობოტების შექმნა, როგორიცაა რობოტები საბავშვო დაწესებულებებისათვის, ჭურჭლისა და ბინების დამგველი რობოტები, ან სხვა საოჯახო საქმის შემსრულებელი რობოტები, სავსებით რეალურად მეჩვენება. უფრო მეტიც, ასეთი რობოტების შექმნის პრაქტიკაც კი არსებობს. მაგალითად, 80-იან წლებში საბჭოთა მოსწავლემ, 16 წლის ვადიმ მიცკევიჩმა შექმნა „საოჯახო“ რობოტი, რომელიც პარიზის მსოფლიო გამოფენაზე სპეციალური დიპლომით დაჯილდოდა. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონე ახლავე იძლევა ასეთი რობოტების შექმნის შესაძლებლობას, მაგრამ საქმე მათ სიძვირისა და ეკონომიკურ მიზანშეწონილობაში მდგომარეობს. დარწმუნებული ვარ, ელექტრონიკის, გამოთვლითი ტექნიკის, კიბერნეტიკის და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა დარგების შემდგომი განვითარება ნებას მოგვცემს შევქმნათ ინტელექტის საკმაოდ მაღალი დონის იაფი რობოტები სერვისის სფეროში გამოსაყენებლად.

— რამდენადაც რობოტებს პრინციპში შეუძლიათ იქონიონ ბიოლოგიური სისტემებისათვის დამახასიათებელი ძირითადი თვისებები, ჩვენ შეგვიძლია ისინი „ცოცხალ არსებებს“ მივაკუთვნოთ, ამ ტერმინის ფართო გაგებით. სრულყოფილი რობოტების შექმნით ადამიანი ქმნის ახალ სიცოცხლეს — „რობოტების სიცოცხლეს“ — ისეთივე მაღალორგანიზებულს, როგორც ჩვენი საკუთარი სიცოცხლეა, თუმცა ძალიან თვითმყოფადსა და განსხვავებულს. ხომ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ეს „ცოცხალი არსებანი“ ერთ მშვენიერ დღეს აუჯანყდებიან თავის შემქმნელ ადამიანს. აი, თუნდაც ისე, როგორც კარელ ჩაპეკის პიესა „რურში“ ქარხნებში ხალხის შესაცვლელად შექმნილი რობოტები თავს აღწევენ ადამიანის კონტროლს და იწყებენ თავიანთი შემქმნელების განადგურებას.

როგორ გგონიათ, რამდენად რეალურია ასეთი ამბოხება?

— ინტელექტი ყოველთვის ჯანყდება, როდესაც საამისო პირობები იქმნება, როდესაც ინტელექტი „შევიწროებულია“ და მას არ შეუძლია მთლიანად გამოამჟღავნოს თავისი ფარული არსებული შესაძლებლობის ჩარჩოებში. მაგრამ ეს უნდა იყოს „ადამიანური“ ინტელექტი და არა ის, ხელოვნური, რომელიც ახლა ვითარდება ექსპერტულ სისტემებში, ან ისეთ სისტემებში, რომლებიც მიმართულია ვიწრო კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად. მაგალითად, ნაკეთობის ასაწყობად ან მინერალური სასუქებისათვის ამიაკის საწარმოებლად. როდესაც მეცნიერება ამ დონემდე განვითარდება, რომ ხელოვნური ინტელექტი თავისი შესაძლებლობებით გაუთანაბრდება ბუნებრივ, ადამიანურ ინტელექტს, შესაძლებელი იქნება ამბოხება დისკუსიის დონეზე, სამეცნიერო დებულებებისა და ტექნიკური გადაწყვეტილებების წამოყენებისა ან უარყოფის სახით. თუ ხელოვნურ ინტელექტში ადამიანი არ ჩადებს სახეთაშიდან და სახეთაშორისი ბრძოლის ინსტინქტის მსგავს რამეს, მაშინ „ამბოხება“ ისეთი სახით, როგორც ეს ფანტასტიკებს აქვთ აღწერილი, არ მოხდება.

— ჩვენ ისევ დაგვრჩენია, ამედი ვიქონიოთ, რომ რობოტების ინტელექტის შექმნაზე იმუშავებენ მხოლოდ მაღალი ზნეობის ადამიანები, რომლებიც არ დაუშვებენ კაცობრიობის საწინააღმდეგო ინტელექტის შექმნას და რომ მომავალში რობოტები ადამიანის კეთილი მეგობრები გახდებიან.

თუ ნებას მომცემთ, ერთი უკანასკნელი კითხვაც: ალბათ, ბევრმა არც იცის, რომ თქვენ თბილისელი ბრძანდებით, რომ ცხოვრების დიდი ნაწილი, შეიძლება ითქვას, საუკეთესო ხანა — ბავშვობა, ყრმობა, ახალგაზრდობა — თბილისში გაატარეთ. აქ დღესაც ბევრი მგობარი და თაყვანისმცემელი გყავთ. თქვენი გამართული, დარბაისლური ქართული კი საქართველოსთან უწყვეტ კავშირზე მეტყველებს. თუ შეიძლება, სულ მოკლედ გვიამბეთ თქვენი ცხოვრების თბილისურ პერიოდზე.

— დიახ, მე თბილისელი ვარ და, თქვენი თქმისა არ იყოს, აქ გავატარე ჩემი ცხოვრების საუკეთესო ხანა. აქ დავამთავრე სკოლა, პოლიტექნიკური ინსტიტუტი: 1944-1960 წლებში კი სამეცნიერო მუშაობას ვეწეოდი ჯერ ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1960 წლის ივნისადან კი უკვე კიევში ვმუშაობ.

რა შეიძლება გითხრათ? თბილისი ჩემი პირველი სიყვარულია, ისეთივე სუფთა და დაუვიწყარი. განა კი შეიძლება დავივიწყდეს მთაწმინდა, მამადავითი, ნარიყალა, ცალიან ძველი უბნები, მტკვარი, ვერე... და ხალხი, ხალხი ალალი, გულთბილი, კეთილმოსურნე. თბილისი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კოლორიტით, თბილისი — ინტერნაციონალიზმის უკრობი კერა, თბილისი — მუზეუმი ხელოვნებელთ, თბილისი — მეცნიერების საყდარი, თბილისი... ჩემი სიყვარული. წინსვლასა და გამარჯვებას ვუსურვებ ჩემს თანამოქალაქეებს, ბედნიერებასა და გამრავლებას — ქართველ

ვლასტი
ფაქტები • მოვლენები

ДАТВАЛІОІРЕБАМ ГАМОАВЛІНА ГАМАРЧВЕБУЛНІ

ВЕЧАМДА сакр XXVII ярілобиладмі міедвгінеірі твалсьачінбм агиоцаіисіа да ПОЛІТІКУРІА ПЛАЗАКТІ САКАВШІРМ ДАТВАЛІОІРЕБІСА ДА „ШРМА ГАБАДІОДЕБІ САБЕЛІ КАЦІСАС“ ГАМОФЕГІНІ ШЕДЕГБІДІ, РОМЕЛБШІЦ МОНБЕЛІОЕМДБЕНІ САБАЛБМ ВІУРНЕІОБІІ ПРАКТІКУЛАД ЕЕЕЕ ДАРГІІ ШРМАМІОІ КОЛЕКТІВЕБІ, ВІЦЕНІОРЕБІСА ДА КУЛЕТУРІІ ДАФЕГІЕБУЛБЕБІ, СІРК КАВШІРІІ САМБАТРМ ФОНДІІ САОЛГМ, САМБАРІОІ ДА РЕСПАБЛІЦІКУРІА ГАНЕЕОФІЕЛБЕБІІ МБАТРМІОІ САБЕЛІОЕНОБІІ, САФАРМОСАМБАТРМ КОМБІНЕБІІ, УМАЛЕЕЛІОІ ДА САШЕЕАЛІОІ САМБАТРМ САСЕЕВЕЕЛБЕЕЛБІ, ЦЕНЕТРАЛІЕРІІ ДА АДВАЕІОЕМБРІОІ ГАМБМЦЕМЕЕМБЕБІІ, АВРІЕГЕІЕ ПРАФЕЕІОНАЕЕЕЕ ДА ЕГІНОМІМЕДІОІ МБАТРМІОІ.

ВМ ЕЕРАМБМАДЕЕЕЕЕЕМБІНІОІ ДАТВАЛІОІРЕБІІ МБАТРІІ ІІІ